

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23

2017 წლის 19 ივლისი

ქ. თელავი

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის №25 დადგენილებაში „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის №25 დადგენილებაში „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 30/12/2016, 190020020.35.176.016138).

1. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის №25 დადგენილების „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილ თხლაშიძე

დანართი

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი  
თავი I

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი მოცემული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის ბიუჯეტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10,473.38	1,570.45	8,902.93	11,768.17	1,890.03	9,878.14	15,236.21	4,081.95	11,154.26
გადასახადები	817.93	0.00	817.93	2,363.08	0.00	2,363.08	2,550.00	0.00	2,550.00
გრანტები	8,794.15	1,570.45	7,223.70	8,397.76	1,890.03	6,507.73	11,064.05	4,081.95	6,982.10



სხვა შემოსავლები	861.30	0.00	861.30	1,007.34	0.00	1,007.34	1,622.16	0.00	1,622.16
ხარჯები	7,503.96	300.00	7,203.96	8,192.33	300.00	7,892.33	7,592.26	0.00	7,592.26
შრომის ანაზღაურება	1,309.41	0.00	1,309.41	1,322.89	0.00	1,322.89	1,203.38	0.00	1,203.38
საქონელი და მომსახურება	1,807.33	0.00	1,807.33	2,233.37	0.00	2,233.37	2,033.54	0.00	2,033.54
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
პროცენტი	144.76	0.00	144.76	123.66	0.00	123.66	99.89	0.00	99.89
სუბსიდიები	2,683.55	0.00	2,683.55	3,273.00	0.00	3,273.00	3,461.70	0.00	3,461.70
გრანტები	1,073.24	300.00	773.24	516.25	300.00	216.25	0.00	0.00	0.00
სოციალური უზრუნველყოფა	369.58	0.00	369.58	437.28	0.00	437.28	485.52	0.00	485.52
სხვა ხარჯები	116.10	0.00	116.10	285.89	0.00	285.89	308.24	0.00	308.24
საოპერაციო საღირსე	2,969.41	1,270.45	1,698.97	3,575.84	1,590.03	1,985.81	7,643.94	4,081.95	3,562.00
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,451.52	1,389.76	1,061.76	3,119.67	1,558.04	1,561.62	8,844.46	4,269.62	4,574.83
ზრდა	2,521.82	1,389.76	1,132.05	3,633.16	1,558.04	2,075.12	8,990.46	4,269.62	4,720.83
კლება	70.30	0.00	70.30	513.50	0.00	513.50	146.00	0.00	146.00
მთლიანი საღირსე	517.89	-119.32	637.21	456.18	31.99	424.19	-1,200.51	-187.68	-1,012.84
ფინანსური აქტივების ცვლილება	351.54	-119.32	470.86	255.87	31.99	223.89	-1,459.78	-220.43	-1,239.35
ზრდა	470.86	0.00	470.86	255.87	31.99	223.89	0.00	0.00	0.00



ვალუტა და დეპოზიტები	470.86		470.86	255.87	31.99	223.89	0.00		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	119.32	119.32	0.00	0.00	0.00	0.00	1,459.78	220.43	1,239.35
ვალუტა და დეპოზიტები	119.32	119.32		0.00			1,459.78	220.43	1,239.35
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ცვლილება	-166.36	0.00	-166.36	-200.30	0.00	-200.30	-259.27	-32.76	-226.51
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00



კლება	166.36	0.00	166.36	200.30	0.00	200.30	259.27	32.76	226.51
საგარეო	166.36	0.00	166.36	200.30	0.00	200.30	259.27	32.76	226.51
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

**მუხლი 2. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება მოცემული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10543.67	1570.45	8973.23	12281.67	1890.03	10391.64	15382.21	4081.95	11300.26
შემოსავლები	10473.38	1570.45	8902.93	11768.17	1890.03	9878.14	15236.21	4081.95	11154.26
არაფინანსური აქტივების კლება	70.30	0.00	70.30	513.50	0.00	513.50	146.00	0.00	146.00
გადასახდელები	10025.78	1689.76	8336.02	11825.49	1858.04	9967.45	16582.72	4269.62	12313.10
ხარჯები	7503.96	300.00	7203.96	8192.33	300.00	7892.33	7592.26	0.00	7592.26
არაფინანსური აქტივების ზრდა	2521.82	1389.76	1132.05	3633.16	1558.04	2075.12	8990.46	4269.62	4720.83
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების კლება	166.36	0.00	166.36	200.30	0.00	200.30	259.27	32.76	226.51
ნაშთის ცვლილება	351.54	-119.32	470.86	255.87	31.99	223.89	-1459.78	-220.43	-1239.35

**მუხლი 3. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 15236,2 ათასი ლარის



ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10 473,4	1 570,4	8 902,9	11 768,2	1 890,0	9 878,1	15,236.2	4,081.9	11,154.3
შემოსავლები	10 473,4	1 570,4	8 902,9	11 768,2	1 890,0	9 878,1	15,236.2	4,081.9	11,154.3
გადასახადები	817,9	0,0	817,9	2 363,1	0,0	2 363,1	2 550,0	0,0	2 550,0
გრანტები	8 794,15	1 570,4	7 223,7	8 397,8	1 890,0	6 507,7	11,064.0	4,081.9	6,982.1
სხვა შემოსავლები	861,3	0,0	861,3	1 007,3	0,0	1 007,3	1 622,2	0,0	1 622,2

#### მუხლი 4. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2550,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
გადასახადები	817,9	2 363,1	2 550,0
საშემოსავლო გადასახადი	0,0	1 131,6	1 280,0
ქონების გადასახადი	817,9	1 231,4	1 270,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	440,5	797,3	930,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	31,9	32,9	20,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	43,4	84,8	20,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	302,1	316,5	300,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,1	0,0	0,0

#### მუხლი 5. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 11064,0 ათასი ლარის ოდენობით:

	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
--	-----------------	-----------------	-----------------



დასახელება	მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	8 794,15	1 570,4	7 223,7	8 397,8	1 890,0	6 507,7	11,064.0	4,081.9	6,982.1
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0,0	65,3	0,0	65,3	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8 794,1	1 570,4	7 223,7	8 332,4	1 890,0	6 442,4	11,064.0	4,081.9	6,982.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	7 223,7	0,0	7 223,7	6 442,4	0,0	6 442,4	6 982,1	0,0	6 982,1
გათანაბრებითი ტრანსფერი	7 061,7	0,0	7 061,7	7 223,7	0,0	6 280,4	6 820,1	0,0	6 820,1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	162,0	0,0	162,0	162,0	0,0	162,0	162,0	0,0	162,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1 570,4	1 570,4	0,0	1 890,0	1 890,0	0,0	4,081.9	4,081.9	0.0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	1 570,4	1 570,4	0,0	1 590,0	1 590,0	0,0	4,081.9	4,081.9	0.0
მთავრობის სარეზერვო ფონდი	0,0	0,0	0,0	300,0	300,0	0,0	0,0	0,0	0,0

**მუხლი 6. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1622,2 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	861,3	1 007,3	1 622,2
შემოსავლები საკუთრებიდან	181,1	214,9	141,0



პროცენტები	117,4	130,4	81,0
<b>რენტა</b>	<b>63,7</b>	<b>84,5</b>	<b>60,0</b>
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	5,9	25,9	10,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	57,8	58,6	50,0
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>379,4</b>	<b>478,3</b>	<b>1 228,2</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>363,3</b>	<b>460,3</b>	<b>1 210,5</b>
სანებართვო მოსაკრებელი	14,7	17,3	14,0
სახელმწიფო ბაჟი	0,0	0,000	0,05
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,000	0,05
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,4	2,2	2,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	244,2	322,8	1 079,4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	102,9	118,0	115,0
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>16,1</b>	<b>18,0</b>	<b>17,7</b>
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	16,1	18,0	17,7
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>298,8</b>	<b>301,1</b>	<b>250,0</b>
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>2,0</b>	<b>13,046</b>	<b>3,0</b>

## მუხლი 7. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7592,26 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7 504,0	300,0	7 204,0	8 192,3	300,0	7 892,3	7,592.26	0.00	7,592.26
შრომის ანაზღაურება	1 309,4	0,0	1 309,4	1 322,9	0,0	1 322,9	1,203.38	0.00	1,203.38
საქონელი და მომსახურება	1 807,3	0,0	1 807,3	2 233,4	0,0	2 233,4	2,033.54	0.00	2,033.54



პროცენტი	144,8	0,0	144,8	123,7	0,0	123,7	99.89	0.00	99.89
სუბსიდიები	2 683,5	0,0	2 683,5	3 273,0	0,0	3 273,0	3,461.70	0.00	3,461.70
გრანტები	1 073,2	300,0	773,2	516,3	300,0	216,3	0.00	0.00	0.00
სოციალური უზრუნველყოფა	369,6	0,0	369,6	437,3	0,0	437,3	485.52	0.00	485.52
სხვა ხარჯები	116,1	0,0	116,1	285,9	0,0	285,9	308.24	0.00	308.24

**მუხლი 8. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8844,46 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8990,46 ათასი ლარის ოდენობით, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	213.4	0.0	213.4	167.5	0.0	167.5	255,84	0,00	255,84
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	3.1	0.0	3.1	93.8	0.0	93.8	126,34	0,00	126,34
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1256.8	639.7	617.2	2649.2	1558.0	1091.1	7599.39	4081.95	3517.44
04 00	განათლება	806.2	750.1	56.0	310.1	0.0	310.1	402,68	187,68	215,00
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	227.5	0.0	227.5	377.7	0.0	377.7	342,21	0,00	342,21
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	14.8	0.0	14.8	34.8	0.0	34.8	264.00	0.00	264.00





სულ ჯამი	2521.8	1389.8	1132.1	3633.2	1558.0	2075.1	8990.46	4269.62	4720.83
----------	--------	--------	--------	--------	--------	--------	---------	---------	---------

ბ) განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 146,0 ათასი ლარის ოდენობით, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	70,3	513,5	146,0
ძირითადი აქტივები	8,8	133,0	56,0
მატერიალური მარაგები	0,0	23,7	0,0
არაწარმოებული აქტივები	61,5	356,8	90,0
მიწა	61,5	356,8	90,0

**მუხლი 9. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,041.5	0.0	2,041.5	2,010.9	0.0	2,010.9	2,083.3	0.0	2,083.3
7.01.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,891.4	0.0	1,891.4	1,887.2	0.0	1,887.2	1,983.4	0.0	1,983.4
7.01.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,891.4	0.0	1,891.4	1,887.2	0.0	1,887.2	1,883.4	0.0	1,883.4
7.01.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	100.0	0.0	100.0
7.01.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	150.1	0.0	150.1	123.7	0.0	123.7	99.9	0.0	99.9
702	თავდაცვა	77.4	0.0	77.4	68.3	0.0	68.3	81.9	0.0	81.9



703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	585.6	0.0	585.6	91.8	0.0	91.8	118.0	0.0	118.0
7.03.2	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	585.6	0.0	585.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7.03.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	0.0	0.0	0.0	91.8	0.0	91.8	118.0	0.0	118.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	1,372.9	632.7	740.3	3,037.3	1,558.0	1,479.3	7,323.0	4,081.9	3,241.0
7.04.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	64.7	0.0	64.7	119.4	0.0	119.4	15.0	0.0	15.0
7.04.2.1	სოფლის მეურნეობა	64.7	0.0	64.7	119.4	0.0	119.4	15.0	0.0	15.0
7.04.5	ტრანსპორტი	1,308.3	632.7	675.6	2,917.9	1,558.0	1,359.9	7,278.0	4,081.9	3,196.0
7.04.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,308.3	632.7	675.6	2,917.9	1,558.0	1,359.9	7,278.0	4,081.9	3,196.0
7.04.7	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	30.0	0.0	30.0
7.04.7.3	ტურიზმი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	30.0	0.0	30.0
705	გარემოს დაცვა	717.7	7.0	710.7	705.1	0.0	705.1	736.1	0.0	736.1
7.05.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	618.8	0.0	618.8	582.4	0.0	582.4	600.5	0.0	600.5
7.05.2	ჩამდინარე წყლების მართვა	54.7	7.0	47.7	116.6	0.0	116.6	108.0	0.0	108.0
7.05.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	44.1	0.0	44.1	6.2	0.0	6.2	27.6	0.0	27.6
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	545.1	0.0	545.1	846.8	0.0	846.8	1,169.3	0.0	1,169.3
7.06.1	ბინათმშენებლობა	88.0	0.0	88.0	217.7	0.0	217.7	230.0	0.0	230.0
7.06.3	წყალმომარაგება	1.5	0.0	1.5	5.9	0.0	5.9	6.0	0.0	6.0
7.06.4	გარე განათება	385.9	0.0	385.9	470.4	0.0	470.4	784.8	0.0	784.8
7.06.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	69.8	0.0	69.8	152.9	0.0	152.9	148.5	0.0	148.5



707	ჯანმრთელობის დაცვა	94.7	0.0	94.7	118.0	0.0	118.0	78.0	0.0	78.0
7.07.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	94.7	0.0	94.7	118.0	0.0	118.0	78.0	0.0	78.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,130.9	300.0	1,830.9	2,643.7	300.0	2,343.7	2,061.5	0.0	2,061.5
7.08.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	824.7	0.0	824.7	1,159.3	0.0	1,159.3	1,110.1	0.0	1,110.1
7.08.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,232.3	300.0	932.3	1,446.8	300.0	1,146.8	909.4	0.0	909.4
7.08.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	35.8	0.0	35.8	11.5	0.0	11.5	20.0	0.0	20.0
7.08.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	38.1	0.0	38.1	26.1	0.0	26.1	22.0	0.0	22.0
709	განათლება	1,877.6	750.1	1,127.5	1,645.3	0.0	1,645.3	1,954.3	187.7	1,766.7
7.09.1	სკოლამდელი აღზრდა	1,807.6	750.1	1,057.5	1,563.4	0.0	1,563.4	1,879.3	187.7	1,691.7
7.09.3	პროფესიული განათლება	70.0	0.0	70.0	82.0	0.0	82.0	75.0	0.0	75.0
710	სოციალური დაცვა	582.4	0.0	582.4	658.2	0.0	658.2	977.3	0.0	977.3
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	15.1	0.0	15.1	8.1	0.0	8.1	9.0	0.0	9.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	33.1	0.0	33.1	52.9	0.0	52.9	60.2	0.0	60.2
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	1.1	0.0	1.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	517.0	0.0	517.0	427.3	0.0	427.3	714.7	0.0	714.7
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	16.1	0.0	16.1	169.8	0.0	169.8	193.5	0.0	193.5
	სულ	10,025.8	1,689.8	8,336.0	11,825.5	1,858.0	9,967.5	16,582.7	4,269.6	12,313.1

**მუხლი 10. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1200,51 ათასი ლარის



**მუხლი 11. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 1459,78 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (- 259,27) ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 13. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შექმნილია სარეზერვო ფონდი, რომელიც განისაზღვრება 100,0 ათასი ლარით და მისი განკარგვა ხორციელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2017 წელს მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 162,0 ათ.ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 78,0ათ. ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 81,9ათ. ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2,1 ათ. ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**თავი II**

**ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 16. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვა, მობილიზება



და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**ბ) საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**  
აღნიშნულის ფარგლებში ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებისათვის განხორციელდება კამერების (რადარების) შესყიდვა.

## **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მშენებლობა, რეაბილიტაცია, რომელიც გულისხმობს არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას, რეაბილიტაციას და ახლის მშენებლობას. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

**ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**  
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოსაფალტება), დაზიანებულ მოსაფალტებულ ქუჩებზე მოეწყობა შემასწორებელი ფენა ასფალტის საფარით, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას, ხიდების მოწყობა, დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია, გზაჯვარედინების მოწყობა-რეაბილიტაცია, მოძრაობის დარეგულირება სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების მოწყობა, დახაზვა და გადასასვლელების მოწესრიგება. აგრეთვე ზამთრის პერიოდში შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად გზების გაწმენდა თოვლისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეაბილიტირებული გზების გაზრდილი მაჩვენებელი კი ხელს შეუწყობს მგზავრთა შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.

მოსალოდნელი შედეგი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი: რეაბილიტირებული გზების მაჩვენებელი.

## **ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჩამდინარე წყლის სისტემების (ნიაღვარგამტარი და მიმღები კოლექტორების) რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა და ახლის მოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება. ქალაქის ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პატრონობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება, საზოგადოებრივი საპირფარეშოების შეკეთება, მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი: განათებული მუნიციპალიტეტი, გაუმჯობესებული სანიტარიული პირობები. საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა-ამხანაგობების თანადაფინანსებით.

შედეგების შეფასების ინდიკატორი: განათებული ქუჩების გაზრდილი მაჩვენებელი;

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლებული მუნიციპალიტეტი, დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტესიურობის მაჩვენებელი. ამხანაგობის მიერ დასახული პრიორიტეტების მაჩვენებელი.

## **ბ.ა) ბინათმშენებლობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)**

ქალაქში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ.



რეკონსტრუქცია - შეკეთების ღონისძიებები. აგრეთვე ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების დაფინანსება.

### **ბ.ბ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე-განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა, ახალი კვანძების მოწყობა და გარე-განათებაზე გახარჯული ელ.ენერჯის ხარჯების დაფინანსება.

**ბ.გ) გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03) აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება:**

**ბ.გ.ა) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 01)** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ნაგვის ურნების რაოდენობის ზრდა სისუფთავის უზრუნველსაყოფად, სტიქიური ნაგავსაყრელების სალიკვიდაციო ღონისძიებები და სხვ.

**ბ.გ.ბ) ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 02)** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა და მის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება;

**ბ.გ.გ) გარემოს დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 03)** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე გამავალი ხევების გაწმენდა და სხვა გარემოს დაცვის ღონისძიებები.

### **ბ.დ) სასმელი წყლის „სოკო“ (პროგრამული კოდი 03 02 04)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით (ფანტანი „სოკო) მომარაგების უზრუნველყოფა, მისი ხარჯების დაფინანსება;

**ბ.ე) ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)** ქალაქ თელავის ტერიტორიაზე გამავალ ხევებში ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა

### **ბ.ვ) წყალმომარაგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ თელავში არსებული ბუნებრივი წყლების ლაბორატორიული შემოწმება და შესაბამისი აბრების მოწყობა;

### **ბ.ზ) ქალაქ იერსახის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 07)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქი ტერიტორიის იერსახის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებას, რითაც ქალაქი უფრო გამრავალფეროვნდება და მეტ დატვირთვას მიიღებს.

### **ბ.თ) საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 08)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობას მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

### **გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას



მოსალოდნელი შედეგი: კეთილმოწყობილი და უზრუნველყოფილი გარემო

შეფასების ინდიკატორი: მოვლილი და გამწვანებული ტერიტორიების რაოდენობა, მოვლილი და დასუფთავებული სასაფლაო.

**გ.ა) პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას (მ.შ. ხის ვარჯის ფორმირება, მორწყვა) აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეების დარგვას, რითაც ქალაქი უფრო გამრავალფეროვნდება და მეტ დატვირთვას მიიღებს.

**გ.ბ) სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაფინანსება.

**დ) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 04)**

პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქში, ტურიზმის განვითარებისათვის, ხელშეწყობის მიზნით, ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავების ღონისძიებები.

**3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგი: აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება; მოწესრიგებული და განახლებული ინფრასტრუქტურა.

შეფასების ინდიკატორი: ბავშვების რაოდენობის ზრდა; მოწესრიგებული საბავშვო ბაღების გაზრდილი რაოდენობა.

**ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. ქალაქში ფუნქციონირებს ცხრა ბაგა-ბაღი, ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღზრდელის გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. სასწავლო-სააღზრდელი პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა როგორც სპორტულ ისე კულტურული ღონისძიებები.

**ა.ა) ა(ა)იპ – თვითმმართველ ქალაქ თელავის ბაგა-ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)**  
ქალაქში ფუნქციონირებს ცხრა ბაგა-ბაღი: №1 ბაგა-ბაღი, №3 ბაგა-ბაღი, №5 ბაგა-ბაღი, №8 ბაგა-ბაღი, №5 საბავშვო-ბაღი, №2 ბაგა-ბაღი, №6 ბაგა-ბაღი, №7 ბაგა - ბაღი, №9 ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანებაში“ – დაფინანსება განისაზღვრება – 1487,0 ათ.ლარი (მ.შ. სუბსიდია 1472,0 ათ.ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა 15,0 ათ.ლარი). ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღზრდელის გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. სასწავლო-სააღზრდელი პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-



ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა როგორც სპორტული, ისე კულტურული ღონისძიებები.

#### **ა.ბ) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 01 02)**

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებების დაფინანსებას, რომელიც აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება კულტურული და გასართობი ღონისძიებები.

#### **ბ) პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)**

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს. სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე. პედაგოგთა ხელშეწყობაზე. აღნიშნულ ორგანიზაციაში ფუნქციონირებს მრავალი წრე, რომელიც ემსახურება ბავშვთა შემოქმედებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას. (ხაზვის, ხატვის, სამეჯლისო ცეკვების, კულინარიის, მათემატიკის, უცხო ენის, ქართული ლიტერატურის, დიზაინის, რუსულის, სიმღერის, გიტარის, ლიტერატურული შემოქმედების, თექის, ქსოვის, გობელინის და ა.შ.... წრე), რომლის ფარგლებშიც ფინანსდება – ააიპ – თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, მისი დაფინანსება შეადგენს – 75,0 ათ.ლარს (სუბსიდიის მუხლი).

#### **4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება რესპუბლიკურ ღონისძიებებზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

#### **ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა. სხვადასხვა ტურნირებზე, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგების გამოსავლენად ხორციელდება მათი ადგილზე შეკრების და ვარჯიშების ჩატარება შესაბამისი პირობების შექმნით. 2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა შეჯიბრებები და მოხდება მათი ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ბავშვები და მოზარდები; ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება პერსპექტიული სპორტსმენებით; მოწესრიგებული სპორტული და დასვენების ობიექტების ინფრასტრუქტურა.

შეფასების ინდიკატორი: სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობა; სპორტულ ჯგუფებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა; მუნიციპალიტეტის სპორტული მიღწევების მაჩვენებელი;

#### **ა.ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)**

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და მასობრივი სპორტის განვითარებას. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება და მისი ხელშეწყობა, რომლის მიზანია ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდა სპორტისადმი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე





არსებული მინი-მოედნების მოვლა- შენახვისა და ექსპლოატაციის, რეაბილიტაციის და ახლის მოწყობის ხარჯების დაფინანსება, აგრეთვე, სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება – სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია.

### ა.ბ) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

